საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№1 პერიოდული გამოცემა 2015 წ. იანვარი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

იანვარი სტრუქტურული ცვლილებების თვე იყო. აპარატის გაზრდილმა ფუნქციებმა, ადამიანის უფლებების დაცვისადმი მომატებულმა პასუხისმგებლობამ, სახალხო დამცველის შესახებ ორგანულ კანონში შესული ცვლილებები მოითხოვა. შესაბამისად, ბევრი რამ შეიცვალა. უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი მოადგილე პაატა ბელთაძე, რომელთან ერთად უკვე წელიწადზე მეტია ვმართავ აპარატს, პირველ მოადგილედ დაინიშნა. მოადგილე კი მართლმსაჯულების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ნათია კაციტაძე გახდა, რომელიც ჩვენს აპარატში 2013 წლის ივლისიდან მუშაობს, მანამდე თითქმის ათი წელი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწეობდა. მათ შორის, სტრატეგიული სამართალწარმოების საკითხებზე მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42—ე მუხლში", ხოლო ბოლო ხუთი წელი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სტრატეგიული სამართალწარმოების პროექტს ხელმძღვანელობდა.

მართლმსაჯულების დეპარტამენტი ორად გაიყო და ჩამოყალიბდა ერთი – სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი, მეორე – სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი.

შშმ პირთა უფლებების ცენტრი დეპარტამენტად გადაკეთდა. შეირჩა ახალი თანამშრომლებიც. დეპარტამენტის უფროსად ირინა ობოლაძე დაინიშნა, რომელიც 14 წელია ადამიანის უფლებების და

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. მთავარი მოვლენა 2
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 4
4. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 5
5. სახალხო დამცველის საკანონმდებლო ინიციატივები 7
6. გასული თვის მოვლენები 7
7. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურის პერიოდული საქმიანობა 10
8. წარმატებული საქმეები 11
9. სხვა სიახლეები 12
10. ღირსშესანიშნავი თარიღები 13
11. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 13
12. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 14
13. კონტაქტი 15

მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით მუშაობს და დეპარტამენტის უფროსად დანიშვნამდეც აქტიურად თანამშრომლობდა სახალხო დამცველის აპარატთან.

იანვარში მოვამზადეთ და წარმოვადგინეთ გასული წლის განმავლობაში ჩვენს მიერ სხვადასხვა უწყებისათვის გაგზავნილი რეკომენდაცია/წინადადებების შესრულების ანგარიში. როგორც ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, შეუსრულებელი დარჩა გაგზავნილი რეკომენდაცია/წინადადებების 31%; 18%–თან დაკავშირებით ადრესატებს პასუხი არ გაუციათ, რაც თავისთავად შეუსრულებლობის პროცენტს 49%–მდე ზრდის. თითქმის ნახევარი შეუსრულებელი დარჩა. მონაცემი არცთუ სახარბიელოა, მაგრამ გასული წლების შედეგებს მაინც სჯობს, რაც უდავოდ, პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ დადგენილების დამსახურებაა.

იანვარში შევარჩიეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჯგუფის წევრები, ასევე მოვამზადეთ სპეციალური ანგარიში გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზაარდიაანთკარის მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ; პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის N8 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ; ასევე, 9 რეკომენდაცია და წინადადება. მასშტაბური გამოვიდა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიება.

მინდა ცალკე გამოვყო იანვრის საჯარო დებატები „არასათანადო მოპყრობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში - რამდენად ადეკვატურია სახელმწიფოს რეაგირება?“. ვფიქრობ, ხელისუფლება უფრო მეტი პასუხისმგებლობითა და ყურადღებით უნდა მოეკიდოს არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესწავლას. პრობლემის გადასაჭრელად აუცილებლად მიმაჩნია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა და დებატებზეც კიდევ ერთხელ გამოვხატე ჩემი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში.

მისალმების ფორმატი არ მაძლევს საშუალებას მთელი თვის მნიშვნელოვანი მოვლენები განვიხილო და მათზე ჩემი შეხედულებები მოგახსენოთ. უფრო დეტალური ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ჩვენი ბიულეტენი იხილოთ.

2. მთავარი მოვლენა

2.1. შეირჩა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ახალი წევრები

16 იანვარს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჯგუფის წევრთა პირველი შესარჩევი ტური შედგა და საკონკურსო კომისიამ 22 წევრი შეარჩია. მათ შორის არიან დახურული ტიპის დაწესებულებებში მონიტორინგის გამოცდილების მქონე იურისტები, სოციალური მუშაკები, ექიმები, ფსიქიატრები, ექსპერტები დისკრიმინაციის საკითხებში და ექსპერტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში.

სახალხო დამცველი უახლოეს მომავალში გამოაცხადებს შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპს, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფში დამატებითი წევრების შერჩევის მიზნით.

24–25 იანვარს სახალხო დამცველმა სპეციალური პრევენციული ჯგუფის განახლებულ შემადგენლობასთან ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გამართა, სადაც პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიან საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი განიხილეს. მათ შორის, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების უფლება-მოვალეობები, თანამშრომლობის წესები და პირობები, ასევე პროფესიულ ეთიკასთან დაკავშირებული საკითხები. შეხვედრის მიმდინარეობისას გაანალიზეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წინაშე მდგარი გამოწვევები და გადაჭრის გზები, განიხილეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის სამოქმედო გეგმა.

სამუშაო შეხვედრა სასტუმრო „მარკო–პოლოში“ (გუდაური)

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჯგუფის წევრები არიან:

ეკა ქობესაშვილი, ზურაბ მახაშვილი, ზურაბ ფუტკარძე, თამარ ავალიანი, თამარ გაბიანი, თეიმურაზ რეხვიაშვილი, ირინა ფუტკარაძე, ირმა მან-

ჯავიძე, კახაბერ გოგაშვილი, ლალი წულეისკირი, მაია ცირამუა, ნათია გოგოლაშვილი, ნანა იდაძე, ნანა ქორიძე, ნესტან ლონდარიძე, ოლღა კალინა, სალომე უგრეხელიძე, სოფია ნემსიწვერიძე, ქეთევან გელაშვილი, ქეთევან ფილაური, ხათუნა ბაგრატიონი და ხათუნა ჭყოიძე.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჯგუფის წევრი ექსპერტები სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან ერთად, მონაწილეობას იღებენ გეგმურ და საჭიროებიდან გამომდინარე, არაგეგმურ მონიტორინგში, ატარებენ შემოწმებას და შემდგომში ახდენენ ანგარიშგებას სახალხო დამცველისადმი.

მონიტორინგი ხორციელდება დროებითი მოთავსების იზოლატორებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში, სამხედრო ჰაუპტვახტებში, ბავშვთა სახლებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ხანდაზმულთა სახლებში და სხვა დახურული ტიპის ინსტიტუციებში.

2.2. სახალხო დამცველის რეკომენდაციებისა და წინადადებების 49% არ შესრულდა

23 იანვარს სახალხო დამცველმა საზოგადოებას 2014 წელს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულების შესახებ ჩატარებული კვლევა წარუდგინა.

ანგარიში მოიცავს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სხვადასხვა უწყებისათვის გაგზავნილი რეკომენდაცია/წინადადებების შესრულების არა მხოლოდ სტატისტიკურ, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მათ შორის შესრულების ვადებს, დარღვეული უფლების აღდგენის ფაქტებს, განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობას და შედეგს.

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა სხვადასხვა უწყებებს – ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, ასევე თანამდებობის პირებს 154 რეკომენდაცია და წინადადება გაუგზავნა, რომელთაგან მხოლოდ 35(23%) შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა 22 (14 %), არ შესრულდა 47 (31%) და პასუხი არ მოსულა 28 (18 %) რეკომენდაციაზე/წინადადებაზე. (საერთო სურათისთვის არ შესრულებული – 31% და პასუხგაუცემელი – 18% რეკომენდაცია/წინადადებები გაერთიანდა და 49% შეადგინა).

გასულ წელს ყველაზე მეტი - 40 რეკომენდაცია/წინადადება საქართველოს მთავარ პროკურორს გაეგზავნა, ამათგან 8 არ შესრულებულა და 9–ზე პასუხი არ გაუცია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ გაცემულ რეკომენდაცია/წინადადებების აბსოლუტური უმრავლესობა, რაზეც სახალხო დამცველს პასუხი არ მიუღია, ეხება გამოძიების დაწყებას სხვადასხვა დარღვევის გამო, კერძოდ, არასათანადო მოპყრობას, თავისუფლების უკანონო აღკვეთას, სამართალდამცავი პირების ქმედებას და სხვა.

კვლევა იძლევა საშულებას, გაანალიზდეს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ ზოგადი ინფორმაცია და გამოიყოს ის სფერო, სადაც კონცენტრირებულია პრობლემა და მიუთითებს, რომ ამ სფეროში ბევრი რამაა გასაკეთებელი.

ღონისძიების გახსნაზე საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა სტივენ სტორკმა ისაუბრა ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვისათვის სახალხო დამცველის ინსტიტუციის როლზე და აღნიშნა, რომ ევროკავშირის თანადგომა მომავალშიც გაგრძელდება; ევროკავშირის წარმომადგენლობის ადამიანის უფლებების კოორდინატორმა საქართველოში ევა პას-

ანგარიშის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის წევრებმა, მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა

ტრანამ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვისას დადებითად შეაფასა სახელმწიფო სტრუქტურებისა და მედიის გაზრდილი ინტერესი სახალხო დამცველის საქმიანობის მიმართ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, შესაბამისი შედეგის დადგომამდე, გააგრძელებს საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის გამოთხოვასა და მონიტორინგს 2014 წლის რეკომენდაცია/წინადადებების შესრულებაზე.

3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

3.1. რეკომენდაცია დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენციისათვის რეაგირების მექანიზმების დანერგვის შესახებ

8 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსს შეიმუშაოს სექსუალური შევიწროების პრევენციის რეაგირების მექანიზმი, შესაბამისი სანქციების სისტემით, რომელიც სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალ, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შეუქმნის დასაქმებულებს და მინიმუმამდე შეამცირებს სექსუალური შევიწროების რისკს.

ვინაიდან ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში დაფიქსირდა სექსუალური შევიწროების შემთხვევა, სახალხო დამცველის აპარატი მზადაა გაუზიაროს გამოცდილება, რომელიც ეფუძნება საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში ნაკისრი თანასწორობის პრინციპების დაცვასა და დასაქმების ადგილზე შევიწროების პრევენციას.

თანამშრომელთათვის სექსუალური შევიწროებისაგან თავისუფალი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი 2014 წლის 25 ნოემბერს დაამტკიცა.

3.2. რეკომენდაცია გორის მერს

8 იანვარს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა გორის მერს სოციალურად დაუცველი მარტოხელა, უსახლკარო ადამიანის თავშესაფრით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ფ.ბ ღამეს გორში, სტალინის ქუჩაზე, ავტობუსის გაჩერებასთან მიბმულ ერთი ბეწო მინის ჯიხურში ათევს, სადაც დაწოლაც კი ვერ ხერხდება. მას არ გააჩნია სეზონის შესაბამისი ტანსაცმელი და აუცილებელი ნივთები. მის ამჟამინდელ „თავშესაფარში“ შეუძლებელია ჰიგიენის დაცვა და საკვების მომზადება. ჯიხურს არ მიეწოდება ელექტროენერგია და განსაკუთრებით, ზამთრის პერიოდში, ცხოვრობს გაუსაძლის, არასათანადო და ღირსებისშემლახავ პირობებში. როგორც თავად ამბობს, ფ.ბ.–ს დაკარგული აქვს პირადობის დამადასტურებელი ყველანაირი დოკუმენტი, რის გამოც ვერ სარგებლობს ხანდაზმულობის პენსიით და სოციალური დახმარებით.

ფ.ბ.–ს „თავშესაფარი“

ვინაიდან, ფ.ბ-ს დამოუკიდებლად არ შეუძლია უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრებისთვის აუცილებელი მინიმალური პირობები, რაც საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან მყისიერი და ეფექტური დახმარება ესაჭიროება.

3.3. რეკომენდაცია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისთვის ფსიქოლოგების მოძიების თაობაზე

23 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს უზრუნველყოს ეთნიკური ჯგუფებისათვის მშობლიური ენის მცოდნე ფსიქოლოგების მოძიება, ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე ადეკვატური რეაგირების მიზნით. ასევე, უმოკლეს ვადაში შეიმუშაონ სტრატეგია, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვებისათვის საქართველოსა თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების განსახორ-

ციელებლად, მათ შორის, ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის არსებული მომსახურებისა და სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად, რომელიც აუცილებელია მათი დაცვისა და ჰარმონიული განვითარებისთვის და დაინერგოს იგი შესაბამის სამსახურებსა და სტრუქტურებში, რათა ყველა ბავშვისათვის იყოს ხელმისაწვდომი.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილმა საქმეებმა ნათელი გახადა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს უძნელდება კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში; ენის ბარიერი საგრძნობლად აფერხებს მუშაობის პროცესს და ასევე, განაპირობებს სერვისების ნაკლებობას. შედეგად კი ზარალდება ისეთი მოწყვლადი ჯგუფი, როგორიც ძალადობის მსხვერპლი ბავშვებია.

4. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

4.1. წინადადება საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან დაკავშირებით

5 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, სახელმწიფო დონეზე შემუშავდეს სათანადო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზებისთვის.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ რიგ ტერიტორიულ ერთეულებსა და სოფლებში არ ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტები და საავადმყოფოები, რაც არასრულწლოვნებს სახელმწიფო სამედიცინო სერვისებით უწყვეტად სარგებლობის უფლებას უზღუდავს.

მიუხედავად საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების და შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნისა, სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობის დაცვის უფლების ტერიტორიული ხელმისაწვდომობის პრინციპი დღემდე არ არის სათანადო დონეზე უზრუნველყოფილი.

4.2. წინადადება „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით

13 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტთან დაკავშირებით წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს.

საკითხი ეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის ცვლილებას – გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, საგამოძიებო მოქმედებების (ჩხრეკა, ამოღება) გამომძიებლის მიერ დადგენილების გამოტანის გარეშე ჩატარებას.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ წერილობითი დადგენილების ვალდებულების ამოღება ფორმალურს გახდის გადაუდებელი აუცილებლობის გამომწვევი გარემოებების დასაბუთებას და ხელს არ შეუწყობს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ ერთერთ უმნიშვნელოვანეს სტანდარტს წარმოადგენს.

სახალხო დამცველი გამოთქვამს მზადყოფნას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული რეგულაციების შესახებ დამატებით განხილვებში. ვიმედოვნებთ, რომ სახალხო დამცველის წინადადება გათვალისწინებულ იქნება და წარმოდგენილი კანონის პროექტი მოყვანილ იქნება შესაბამისობაში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან.

4.3. წინადადება შინაგან საქმეთა მინისტრს ბავშვთა დაცვის საკითხებში პროცედურების ეფექტურ განხორციელებასთან დაკავშირებით

23 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ბავშვზე ძალადობის შემთხვევების შესწავლის დროს, კანონით დადგენილი პროცედურების სრული დაცვის უზრუნველსაყოფად, ზედამხედველობა გაუწიოს მის დაქვემდებარებაში არსებულ პასუხისმგებელ სტრუქტურებს, ასევე უზრუნველყოს მათთვის დამატებითი ინსტრუქციის მიწოდება, რათა ყველა არასრულწლოვანმა შეძლოს სათანადო ზრუნვისა და კანონით გათვალისწინებული სერვისების მიღება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა შეისწავლა არასრულწლოვან გოგონათა ადრეულ ასაკში ქორწინებისა და მოტაცების რამდენიმე შემთხვევა, რა დროსაც ბავშვთა ინტერესებისა და კანონით მინიჭებული უფლებების დარღვევის ტენდენცია გამოიკვეთა.

2014 წლის მანძილზე ადრეულ ასაკში ქორწინების თაობაზე შესწავლილი საქმეებიდან 4 შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებული იყო შემთხვევის შესახებ ეცნობებინა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის, თუმცა არ მიუმართავს და სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის სამსახურებისთვის ფაქტების შესახებ მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შედეგად ხდებოდა ცნობილი.

4.4. წინადადება ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

26 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში, უზრუნველყოფილ იქნეს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ხელმისაწვდომი და ეფექტიანი ფუნქციონირება, აღსაზრდელთათვის უსაფრთხო და სათანადო ფიზიკური გარემოს მიწოდება, ადრეული და სკოლამდელი განათლების უფლების იმპლემენტაცია; ასევე, ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მოთხოვნების შესრულების მიზნით, მჭიდრო თანამშრომლობის განხორციელება მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან.

4.5. წინადადება პროკურატურას ყოფილი პოლიციელების მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის გამოძიების თაობაზე

27 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს დაუყოვნებლივ დაიწყოს და აწარმოოს გამოძიება მსჯავრდებულ ლ.შ–ს მიერ გაცხადებული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე მიიღოს ყველა საჭირო ზომა მსჯავრდებულის უსაფრთხოების დასაცავად.

საქართველოს სახალხო დამცველისადმი მიცემულ ახსნა-განმარტებაში მსჯავრდებული ლ.შ.–მ განაცხადა, რომ მას 2008 წლის ივლისში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მაშინდელი თანამშრომელი ირაკლი ფირცხალავა ნარკოტიკული დანაშაულისთვის პასუხისგებაში მიცემით დაემუქრა, ხოლო თავისუფლების სანაცვლოდ გარდაცვლილი ბუტა რობაქიძის დედის ია მეტრეველის მოკვლა დაავალა. ასევე, უნდა მოეძებნა პირი, რომელიც ზურაბ ვაზაგაშვილის წინააღმდეგ მისცემდა ჩვენებას ამ უკანასკნელის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ. ლ.შ. აცხადებს, რომ მას არჩევანი არ ჰქონდა და შეთავაზებულ თანამშრომლობას დათანხმდა.

როგორც ლ.შ. აცხადებს, ამ საუბრის შემდეგ იგი სამი დღე დადიოდა საბურთალოზე, თითქოსდა ზურა ვაზაგაშვილის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით. შემდეგ გარკვეული დროით ქვეყანიდან გაემგზავრა, ხოლო დაბრუნებისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს და ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

ამჟამად ლ.შ. ჩვენების მიცემისთვის მზადყოფნას გამოთქვამს.

4.6. წინადადება პარლამენტს „პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტთან დაკავშირებით

28 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს „პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით წინადადებით მიმართა და კანონის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სამუშაო პროცესში აქტიური მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვა.

საქართველოს სახალხო დამცველი მართებულად მიიჩნევს პატიმრობის კოდექსში და საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანულ კანონში ისეთი ცვლილებების შეტანას, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ფოტო, ვიდეო და აუდიო ჩაწერის საშუალებების უფლებას მიანიჭებს.

გარდა ამისა, სახალხო დამცველის წინადადებაში იდენტიფიცირებულია კანონის პროექტის სხვა

პრობლემური საკითხები, რომლებიც შემდგომ დახვეწას საჭიროებს. (ვრცელი ვარიანტი იხილეთ ბმულზე).

5. სახალხო დამცველის საკანონმდებლო ინიციატივები

5.1. საკონსტიტუციო სარჩელი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“

30 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და სადავოდ მიიჩნია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8[3] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან მიმართებით.

სარჩელის მიხედვით, გასაჩივრებული დებულებები შესაძლებელია სახელმწიფო ორგანომ გამოიყენოს, როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების დამოუკიდებელი საკანონმდებლო საფუძველი, რომელიც განსხვავდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურისგან.

6. გასული თვის მოვლენები

6.1. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში – „ომის შედეგები და არსებობის სიმძიმე“

20 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების თაობაზე სპეციალური ანგარიშის პრეზენტაცია გამართა, რომელშიც გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზაარდიაანთკარის მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკურ და უფლებრივი მდგომარეობაა ასახული.

ზარდიაანთკარზე კონტროლი საქართველოს ხელისუფლებამ 2012 წლის ზაფხულში აღადგინა, თუმცა, მწვავე სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო, სოფელში მოსახლეობა ვერ ბრუნდება. კონფლიქტით დაზარალებული 20-მდე ოჯახი გორის საბავშვო ბაღში აგრძელებს ცხოვრებას.

სოფელში სახლების უმეტესობა დაზიანებული და საცხოვრებლად უვარგისია, კომპენსაცია მხოლოდ 3 ოჯახზე გაიცა; სოფელს დღემდე არ აქვს სასმელი და სარწყავი წყალი, არ მიეწოდება ბუნებრივი აირი.

შეხვედრა ზარდიაანთკარის მოსახლეობასთან

ზარდიაანთკარის მოსახლეობის ღირსეული დაბრუნებისა და სოფლის დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სახალხო დამცველმა ადგილობრივი და ცენტრალურ ხელისუფლებისათვის რეკომენდაციები შეიმუშავა.

6.2. პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა რეკომენდაციების შესრულება მოითხოვა

22 იანვარს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა პენიტენციურ, ასევე, არანებაყოფლობითი და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი გამოაქვეყნა.

2014 წლის 21 ოქტომბრიდან 13 ნოემბრამდე პენიტენციურ დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებაში შშმ პირთა მდგომარეობის მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით, პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა 2014 წლის 4-12 დეკემბერს ვიზიტები განახორციელა სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და შპს „აკადემიკოს ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“.

ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ცვლილებებისა, სამწუხაროდ, რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესი არ შეიმჩნევა. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ მთელ რიგ რეკომენდაციებთან მიმართებით არცერთი ღონისძიება არ გატარებულა.

პრევენციის ეროვნული მექანიზმი მოუწოდებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, გაატარონ ყველა საჭირო ზომა სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველსაყოფად.

6.3. საქართველოს სახალხო დამცველის წერილობითი მოსაზრება გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოსადმი

26 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისარს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 27/32 რეზოლუციის „ადამიანის უფლებები, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა“ ფარგლებში წერილობითი მოსაზრება წარუდგინა.

საქართველოს სახალხო დამცველის წერილობით მოსაზრებაში ასახულია საქართველოში ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური უფლებების განხორციელებისას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით უფლებადარღვევის ფაქტებს.

საზოგადოებაში არსებულ ჰომოფობიურ დამოკიდებულებებთან ერთად კვლავ გამოწვევას წარმოადგენს სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების დროული, ეფექტური და ანგარიშვალდებული გამოძიების საკითხი. ამასთან, ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები არასაკმარისადაა გათვალისწინებული კანონმდებლობაში, რაც ზოგ შემთხვევაში, მათი ფუნდამენტური უფლებების დარღვევით სრულდება.

6.4. ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

27 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა ტოლერანტობის ცენტრმა და საერთაშორისო ფონდმა „ლეამ“ ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართეს.

შეხვედრის გახსნისას საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა სტუმრებს მოუწოდა წუთიერი დუმილით პატივი ეცათ ჰოლოკოსტის მსხვერპლთათვის. „აუცილებელია ეს საზარელი დანაშაული სამუდამოდ აღიბეჭდოს კაცობრიობის მეხსიერებაში, როგორც სრულიად განსაკუთრებული შეტყობინება მსოფლიოსთვის, როგორც განსაკუთრებული გაფრთხილება თითოეული ჩვენგანისთვის, რომ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს აღარასოდეს დავუშვათ ფაშიზმის, ნაციზმის, რასიზმის, გენოციდის, სხვა მომაკვდინებელი ანტიადამიანური იდეოლოგიებისა და პრაქტიკების აღზევება!“ – განაცხადა სახალხო დამცველმა.

ღონისძიება სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ საერთაშორისო ფონდ „ლეას“ ხელმძღვანელი მარინე სოლომონიშვილი, გაეროს მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ნილს სკოტი, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუვალ ფუქსი, პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ანდრჟეი ჩიეშკოვსკი, აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მისი აღმატებულება ბ-ნი რიჩარდ ნორლანდი, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი იანოშ ჰერმანი, საქართველოს პარლამენტის ვიცე–სპიკერი მანანა კობახიძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი.

ღონისძიება სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“

ღონისძიების მონაწილეებმა მენორაზე სანთლები დაანთეს და პატივი მიაგეს ჰოლოკოსტის დროს დაღუპული 6 მილიონი ებრაელის, 2 მილიონი ბოშას და ნაცისტური რეჟიმის ყველა სხვა მსხვერპლის ხსოვნას.

შეხვედრა ნაცისტური გერმანიის მსხვერპლთა სულის მოსახსენიებელი ლოცვით დაასრულეს რაბი ავიმელეხ როზენბლატმა, რაბი მეერ კოზლოვსკიმ და ქოენმა რაფიელ მესინგისერმა.

ღონისძიება აშშ-ის საერთაშორისო სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება“ (ANI) და საქართველოში ისრაელის საელჩოს მხარდამჭერით გაიმართა.

6.5. სახალხო დამცველი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

28 იანვარს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს კესტუტის იანკაუსკასს შეხვდა. სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად სწავლობს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობას და შეხვედრის მიზანი სადამკვირვებლო მისიასთან ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობის გაღრმავება იყო.

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი კესტუტის იანკაუსკასი

შეხვედრაზე განიხილეს მოქალაქეთა ხშირი დაკავებები გამყოფ ხაზზე, ადგილობრივი მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა და უსაფრთხოების საკითხები. სახალხო დამცველმა მისიის წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია იმ ყოველდღიურ პრობლემების შესახებ, რომელსაც მოსახლეობა მოუგვარებელი კონფლიქტების გამო აწყდება.

6.6. საჯარო დებატები: არასათანადო მოპყრობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში – რამდენად ადეკვატურია სახელმწიფოს რეაგირება?

30 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა გამართა საჯარო დებატები თემაზე: „არასათანადო მოპყრობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში - რამდენად ადეკვატურია სახელმწიფოს რეაგირება?“. დებატებს მოდერაცია სამხრეთ კავკასიაში საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰუმან რაითს ვოჩის“ წარმომადგენელმა გიორგი გოგიამ გაუწია. ღონისძიება სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა გახსნა.

ევროკავშირის წარმომადგენლობის ადამიანის უფლებების კოორდინატორმა საქართველოში ევა პასტრანამ განაცხადა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს სახალხო დამცველს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მათ შორის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებაში. ასევე, ისაუბრა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე.

საჯარო დებატები სასტუმრო „ჰოლიდეი ინნში“

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა კვარაცხელიამ სპეციალურ მოხსენებაში მიმოიხილა წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის სახელმწიფო ვალდებულებები. ხაზი გაუსვა ეფექტიანი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების წარმართვისა და სავარუდო მსხვერპლთა დაცვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელობას. განიხილა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები. მათ შორის, დაზიანების აღრიცხვის ჟურნალის არასრულყოფილი წარმოება, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურება, სათვალთვალო კამერის ჩანაწერების მცირე ვადით შენახვა. ყველა ეს ფაქტორი ხელს უშლის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების ამოღებას.

საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილის კახი კახიშვილის განცხადებით, არასათანადო მოპყრობის ფაქტები მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იჩენს თავს. თუმცა, პრობლემის სიღრმისეული შესწავლა და სისტემური ცვლილებებია საჭირო. ამ კუთხით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ვიდეო-მონიტორინგის სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვა, რომელიც უკვე შემუშავებულია და უახლოეს მომავალში ამოქმედდება.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა მაია კვირიკაშვილმა გამოძიებისათვის ხელშემშლელ პირობებზე ისაუბრა; მათ შორის ყველაზე ხშირია მსჯავრდებულის მხრიდან ჩვენების მიცემაზე თავის შეკავება, ასევე ვიდეო-მასალისა და სრულყოფილი სამედიცინო ჩანაწერების არ არსებობა.

ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის ოფისის რეგიონულმა დირექტორმა ცირა ჭანტურიამ სასჯელაღსრულების სისტემაში დამკვიდრებული ძალადობის კულტურის აღმოფხვრისათვის კომპლექსური ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობაზე, წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტებსა და საქართველოს კონტექსტში ამ სტანდარტების დანერგვის პერსპექტივის შესახებ ისაუბრა.

საქართველოს სახალხო დამცველის ყოველთვიური საჯარო დებატები ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის ხელშეწყობა“ ფინანსური მხარდაჭერით იმართება.

7. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურის პერიოდული საქმიანობა

7.1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის N8 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ

5 იანვარი. პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დაადგინა, რომ დაწესებულებაში არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით არაკეთილსაიმედო მდგომარეობაა. პატიმართა შორის ხშირია ძალადობის ფაქტები, რაც უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის გაძლიერების აუცილებლობაზე მიუთითებს; ძირითად საცხოვრებელ საკნებში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება საქართველოს პატიმრობის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს; ხარვეზებით მიმდინარეობს სამედიცინო მომსახურება; კვლავ დიდ გამოწვევად რჩება ფსიქიკური ჯანმრთელობა; არ არის შესაბამისი პირობები პირადი ჰიგიენის დასაცავად.

კომუნიკაციის სირთულის გამო არაქართულენოვანი პატიმრებს უჭირთ შესაბამისი სერვისების მიღება; საკვების მომზადებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებები; არ ხდება დაწესებულების მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება.

არადამაკმაყოფილებელია არასრულწლოვან ბრალდებულთა პატიმრობის პირობებიც; არასაკმარისია დაწესებულებაში განხორციელებული სარეაბილიტაციო აქტივობები.

2014 წლის 12 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები N8 დაწესებულებაში თავად გახდნენ **პატიმართა მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თვითმხილველები.** პრევენციის ეროვნული მექანიზმის აზრით, მსგავსი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია გარკვეულ ადგილებში მუდმივი, სრულყოფილი ვიდეო–მეთვალყურეობის განხორციელება და ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვა-შემოწმება.

2014 წლის 11 თვის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველმა N8 დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების გამოძიების მოთხოვნით საქართველოს მთავარ პროკურორს 9 შემთხვევაში მიმართა.

7.2. შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან

23 იანვარს კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების საკითხებში სახალხო დამცველის მრჩეველმა მედეა ტურაშვილმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამართულ შეხვედრაში, რომელიც კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე პროცესებს შეეხებოდა. შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და კონფლიქტების თემაზე მომუშავე ექსპერტები ესწრებოდნენ.

სახალხო დამცველის მრჩეველმა პრეზიდენტსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სახალხო

შეხვედრა პრეზიდენტთან

დამცველის რეკომენდაციები პატიმრებთან და უგზოუკვლოდ გაუჩინარებულებთან დაკავშირებით და მიაწოდა ინფორმაცია გამყოფ ხაზზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე.

7.3. შეხვედრა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში

27 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის მრჩეველი მედეა ტურაშვილი და დევნილთა და კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროექტის თანამშრომლები შორენა ყაყიტაშვილი და აკაკი კუხალეიშვილი ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცსა და ყინწვისში იმყოფებოდნენ, სადაც მოსახლეობის პრობლემებს გაეცნენ.

სოფელ ატოცში განსაკუთრებით პრობლემატურია სოფელში მისასვლელი 3კმ-იანი მონაკვეთი და სკოლის შენობა, რომელშიც სწავლის პროცესისათვის არასახარბიელო პირობებია. სოფელ ყინწვისში მოსახლეობა უწყლობას უჩივის.

სოფელი ყინწვისი. კონფლიქტით დაზარალებული რეგიონების მაცხოვრებელი მარტოხელა მოხუცები მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობენ

ვიზიტის შემდეგ, სახალხო დამცველის თანამშრომლები ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებს შეხვდნენ და რეგიონში არსებული პრობლემები და კონფლიქტით დაზარალებულ სოფლებში ადამიანთა უფლებების დაცვის მდგომარეობა განიხილეს. საუბარი შეეხო გამყოფ სოციალურ-ეკონომიკურ პროექტებს, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების პროგრამებს და მოსახლეობის ინდივიდუალურ საქმეებს.

8. წარმატებული საქმეები

8.1. ოსური სახლის აღდგენის საკითხი

22 იანვარს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან სახალხო დამცველს აცნობეს, რომ სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმის“ ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიულ მუზეუმში განთავსებულ ოსურ სახლს ჩაუტარდება სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები 2015 წლის Ⅱ კვარტალში „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებების ხელშეწყობის 2015 წლის პროგრამის ფარგლებში.“

სახალხო დამცველმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ოსური სახლის რესტავრაციისა და მათში მუდმივმოქმედი გამოფენის მოწყობის ხარჯების უზრუნველყოფის **რეკომენდაციით 2014 წლის მაისში** მიმართა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ოსური სახლის აღდგენა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება სახელმწიფოს მიერ ეროვნული უმცირესობების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების საქმეში.

8.2. კონფლიქტით დაზარალებულ სტუდენტებს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა მიეცათ

შიდა ქართლის სოფლებში სახალხო დამცველის წარმომადგენლების ვიზიტის დროს, ცნობილი გახდა, რომ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელუბანში მცხოვრებ სტუდენტს სტატუსის შეჩერება ემუქრებოდა გადასახადის გადაუხდელობის გამო.

მართალია, კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე მომუშავე სამთავრობო კომისიამ დადებითად გადაწყვიტა უმაღლესი განათლების დაფინანსების საკითხი – გადაწყვეტილების აღსრულება გაჭიანურდა.

სახალხო დამცველმა და მისმა წარმომადგენლებმა, აღნიშნული საკითხის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის გამგებელს დავით ონიაშვილს აცნობეს. 20 იანვარს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონში მაცხოვრებელ სტუდენტებზე გასცა ცნობა, რომ მათი სწავლის საფასური დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ცნობის საფუძველზე, უნივერსიტეტმა სტუდენტს შესაძლებლობა მისცა გაეგრძელებინა სწავლა მეორე სემესტრში.

9. სხვა სიახლეები

9.1. უსახლკაროთა თავშესაფრის მონიტორინგი

5 იანვარს სახალხო დამცველის აპარატის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ გიორგი გარსევანიშვილმა, დავით თუთბერიძემ, თამთა ბაბუნაშვილმა და ნინო შალამბერიძემ თბილისში, მოსკოვის გამზირზე მდებარე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის თავშესაფარი მოინახულეს, სადაც 200–მდე ადამიანი, მათ შორის ორი არასრულწლოვანი და რამდენიმე შშმ პირია განთავსებული, რომელთაც სოციალური სამსახურები არ აქცევენ ყურადღებას, არ არის გათვალისწინებული მათი საჭიროებები და არ ხდება თავშესაფრის ბინადართა აღრიცხვა.

ვიზიტისას სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა დაადგინეს, რომ თავშესაფრის ტერიტორია სრულად ვერ აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; კარვები არ არის დაცული ატმოსფერული ნალექისა და ნესტისგან; არ არის სათანადო ტემპერატურული რეჟიმი; გაუმჯობესებას საჭიროებს ყოველდღიური კვების რაციონიც.

მოქალაქეები ტერიტორიაზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცხოვრობენ, ამდენად დროებითი თავშესაფარი სცილდება თავის არსს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის თავშესაფარი შესაძლოა, ზამთრის პერიოდში უსახლკარო ადამიანების გაყინვისაგან დაცვის ერთადერთი საშუალება იყოს, სახელმწიფო უწყებებს ამ ეტაპზე არ აქვთ შემუშავებული არანაირი სამოქმედო გეგმა, მათი საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ქუჩაში მცხოვრებ მიუსაფართა დროებით თავშესაფარში გადაყვანას ძირითადად პატრულის თანამშრომლები უზრუნველყოფენ. პარალელურად მოქმედებს საინფორმაციო და დახმარების ცხელი ხაზი.

9.2. განცხადება ორგანიზაცია „იდენტობის“ და მისი ყოფილი ხელმძღვანელის მიმართ გამოთქმულ მუქარასთან დაკავშირებით

9 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველი გამოეხმაურა არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ყოფილი ხელმძღვანელის ირაკლი ვაჭარაძისა და ამავე არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ სოციალურ ქსელში გამოთქმულ მუქარას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გარემოებების ადეკვატურად შეფასების, ირაკლი ვაჭარაძისა და „იდენტობის“ სხვა თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ზომების მიღებისაკენ მოუწოდებს.

ორგანიზაცია „იდენტობის“ ყოფილი ხელმძღვანელის ირაკლი ვაჭარაძის მიერ სოციალური ქსელ „Facebook“-ზე საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის საშობაო ეპისტოლეს შეფასებას არაერთი კერძო პირისაგან მოჰყვა მუქარის შემცველი კომენტარები.

9.3. რელიგიათა საბჭოს განცხადება პარიზში განხორციელებული ტერორისტული აქტის შესახებ

12 იანვარს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წევრებმა ღრმა მწუხარება გამოხატეს პარიზში, ჟურნალ „შარლი ებდო“-ზე განხორციელებული ტერორისტული აქტის გამო.

„განსაკუთრებით შემაძრწუნებელია რომ ტერორს, ხშირად რელიგიის სახელით და თითქოსდა რელიგიური გრძნობების დასაცავად ახორციელებენ. სინამდვილეში, რელიგიური ნიშნით ტერორიზმი და ძალადობა სხვების გარდა, თავად იმ რელიგიებისა და მათი მშვიდობიანი მიმდევრების წინააღმდეგაა მიმართული, რომელთა სახელითაც სჩადიან ტერორის ცოდვას, ტერორის დანაშაულს. რელიგია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს გამოყენებული განსხვავებული ადამიანის წინააღმდეგ შეუწყნარებლობის, ექსტრემიზმისა და ტერორიზმის საფუძვლად.

გვინდა მოვუწოდოთ რელიგიურ ლიდერებს და ყველა კეთილი ნების ადამიანს - ხმა ავიმაღლოთ და გავერთიანდეთ ექსტრემიზმთან, შეუწყნარებლობასთან, ტერორიზმთან ბრძოლაში. დუმილი და გულგრილობა ყველაზე მეტად ასაზრდოებს ძალადობას, – ნათქვამია განცხადებაში.

9.4. განცხადება 2015 წლის ქალთა წლად გამოცხადების შესახებ

15 იანვარი. სახალხო დამცველი შეუერთდა პრეზიდენტის ინიციატივას, 2015 წლის ქალთა წლად გამოცხადების შესახებ და იმედი გამოთქვა, რომ ეს ინიციატივა კიდევ უფრო გააძლიერებს საზოგადოების ინტერესს და წინ წამოწევს საკითხის მნიშვნელობას; დადებით ზეგავლენას მოახდენს ქალთა უფლებების დაცვის სფეროში და მნიშნელოვანი ცვლილებების მასტიმულირებელი აღმოჩნდება; ყველა სახელმწიფო სტრუქ-

ტურა სათანადო მნიშვნელობას მიანიჭებს მას და ყოველდღიურ პროცესებში გაიზიარებს.

სიმბოლურ დატვირთვასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რეალურად გაუმჯობესდეს ქალთა უფლებრივი მდგომარეობა. უნდა ვიზრუნოთ, რომ შემცირდეს ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები, გაიზარდოს ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, გაუმჯობესდეს შრომითი უფლებები, ხელმისაწვდომობა სერვისებთან.

9.5. განცხადება იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით

21 იანვარი. საქართველოს სახალხო დამცველმა ღრმა მწუხარება გამოთქვა იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით და დაღუპულის ოჯახს მიუსამძიმრა. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს მთავარ პროკურატურას, ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება **20 იანვარს** დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე.

საქართველოს სახალხო დამცველი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აუცილებელია მოცემულ საქმეზე გამოძიება წარიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით განსაზღვრული კრიტერიუმების დაცვით: დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად; ზედმიწევნით; სწრაფად; იმ საგამოძიებო ორგანოს/პირ(ებ)ის მიერ, რომელსაც აქვს სამართლებრივი კომპეტენცია საქმესთან დაკავშირებული ფაქტების გამოსაკვლევად; მსხვერპლის ოჯახის წევრების მონაწილეობით გამოძიების პროცესში.

საქართველოს სახალხო დამცველი თვლის, რომ გამოძიების მწარმოებელმა ორგანომ, მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, უნდა მოახდინოს საზოგადოების პერმანენტული ინფორმირება იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ, გამოძიების საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების მიზნით.

10. ღირსშესანიშნავი თარიღები

10.1. 6 იანვარს სომეხთა სამოციქულო ეკლესიამ შობის დღესასწაული აღნიშნა

„საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხების როლი განსაკუთრებულია ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და ჩვენ ერებს შორის არსებული კეთილმეზობლური დამოკიდებულების საქმეში. ვულოცავ სომეხ თანამოქალაქეებს ამ ბრწყინვალე დღესასწაულს და მათ ოჯახებს მშვიდობასა და კეთილდღეობას ვუსურვებ!“ – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

10.2. 7 იანვარს სახალხო დამცველმა მართლმადიდებლებს შობის დღესასწაული მიულოცა

„ძვირფასო თანამოქალაქეებო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის წევრებო, გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ქრისტეს შობა განსაკუთრებული და გამორჩეული ქრისტიანული დღესასწაულია. დაე, ეს დღე ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისათვის სიხარულის, მშვიდობისა და კეთილდღეობის მომტანი. მრავალ შობა-ახალ წელს დავსწრებოდეთ ძლიერ, განვითარებულ და თავისუფალ საქართველოში“.

10.3. სურბ სარქისის დღესასწაული

31 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა სომეხ ხალხს და სომეხთა წმინდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს სურბ სარქისის ხსენების დღე მიულოცა და მათ ოჯახებს მხნეობა და კეთილდღეობა უსურვა.

წმინდა სარქისი სომეხთა გამორჩეული წმინდანია და იგი ახალგაზრდების მფარველად ითვლება. ეს დღესასწაული აღინიშნება არა მხოლოდ საეკლესიო წესით, ლოცვებით, არამედ იგი მდიდარია სახალხო წეს-ჩვეულებებითაც. ტრადიციის თანახმად, ეკლესიაში ახალგაზრდებს ამ დღეს მარილიანი კვერები ურიგდება.

11. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

11.1. ტაჯიკეთის სასამართლომ უფლებადამცველ ადვოკატს სუხრათ კუდრატოვს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

13 იანვარს ტაჯიკეთის სასამართლომ უფლებადამცველ სუხრათ კუდრატოვს ქრთამის აღებისა და თაღლითობისთვის 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. კუდრატოვი, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვისა და კანონის უზენაესობის ბიურომ 2011 წელს წლის ადამიანის უფლებათა დამცველად დაასახელა, იცავდა პოლიტიკური თანამდებობის პირის ზაიდ ზეიდოვის ინტერესებს

2013 წელს, როდესაც ეს უკანასკნელი დააპატიმრეს ახალი პოლიტიკური პარტიის დაარსებისთვის.

2014 წლის ივლისში კუდრატოვი ასევე იცავდა წამების მსხვერპლთა, პოლიტიკური აქტივისტების და რელიგიური ექსტრემისტების ინტერესებს. ბევრი ფიქრობს, რომ კუდრატოვის დაპატიმრება არის გაფრთხილება ავტორიტარული ხელისუფლების კრიტიკოსთა მიმართ.

უკვე დიდი ხანია ტაჯიკეთის ხელისუფლება მძაფრი კრიტიკის ქვეშ მოექცა, ოპონენტთა დევნისა და წამების გამო. 2014 წლის თებერვალში, ადამიანის უფლებებისა და წამების საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურმა მომხსენებელმა ხუან მენდესმა ტაჯიკეთის მთავრობას მოუწოდა იმ სტრატეგიის და კანონმდებლობის იმპლემენტაციისკენ, რომლებიც ხელისუფლების მიერ ქვეყანაში წამებისა და არასათანადო მოპყრობის აღმოსაფხვრელად იქნა მიღებული. ამასთან, ორგანიზაცია „ამნესტი ინტერნეიშენალი“ 2012 წლის ივნისში გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნავდა, რომ ტაჯიკეთში პატიმართა წამება, ცემა და არასათანადო მოპყრობა გავრცელებული პრაქტიკაა.

11.2. თურქეთის სასამართლომ აკრძალა წვდომა ვებგვერდებზე, რომლებზეც „ჩარლი ებდოს“ ახალი ნომრის გარეკანია განთავსებული

14 იანვარს თურქეთის სასამართლომ აკრძალა წვდომა ვებგვერდებზე, რომელებზეც ფრანგულ სატირულ ჟურნალ „შარლი ებდოს“ მიერ გამოქვეყნებული მუჰამედ წინასწარმეტყველის კარიკატურაა განთავსებული. სურათზე წინასწარმეტყველ მუჰამედის ხელში უჭირავს პლაკატი, წარწერით „მე ვარ შარლი“. კარიკატურის ზედა მხარეს კი დატანილია წარწერა „ყველაფერი ნაპატიებია“.

სასამართლოს გადაწყვეტილება, ვებგვერდებზე წვდომის აკრძალვის შესახებ, მიღებულ იქნა ადვოკატის საჩივრის საპასუხოდ, რომელიც აღნიშნავდა, რომ ვებგვერდები საფრთხეს უქმნიდა საზოგადოებრივ წესრიგს.

უფრო ადრე თურქეთის პოლიციამ გაზეთების შემოწმება დაიწყო იმისათვის, რომ ენახათ დაბეჭდეს თუ არა მათ კარიკატურა.

12. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

12.1. კონკურსი სტუდენტებისთვის თემაზე – „იძულებით გადაადგილება – დევნილობა საქართველოში“

12 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის გამოაცხადა კონკურსი თავისუფალ თემაზე „იძულებით გადაადგილება – დევნილობა და განვითარება საქართველოში“.

კონკურსის ორგანიზატორია „იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტით დაზარალებულთა საკითხებში საქართველოს სახალხო დამცველის დახმარების პროექტი“, რომელიც დაფინანსებულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და ევროსაბჭოს ოფისების მიერ.

12.2. საქართველოს სახალხო დამცველს კიდევ ერთი მოადგილე ჰყავს

12 იანვარს სახალხო დამცველის პირველ მოადგილედ დაინიშნა **პაატა ბელთაძე,** რომელიც მანამდე იყო სახალხო დამცველის მოადგილე; ხოლო, სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი 2013–2014 წლებში **ნათია კაციტაძე** სახალხო დამცველის მოადგილედ დაინიშნა.

26 დეკემბერს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებით საქართველოს სახალხო დამცველს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები. ცვლილებამდე, სახალხო დამცველს მხოლოდ ერთი მოადგილე ჰყავდა. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად შეიცვალა სახალხო დამცველის აპარატის დებულებაც.

12.3. აპარატის სტრუქტურული ცვლილებები

15 იანვრიდან სახალხო დამცველის აპარატში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები, რომელთა თანახმად:

სახალხო დამცველის აპარატის შშმ პირთა უფლებების ცენტრი გადაკეთდა შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტად, შეირჩა ახალი თანამშრომ-

ლებიც. დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა ირინა ობოლაძე, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად რუსუდან კოხოძე და სპეციალისტად ლიკა ბაციკაძე.

მართლმსაჯულების დეპარტამენტი ჩამოყალიბდა ორ დეპარტამენტად. ერთი – სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი, მეორე – სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი (სპესკ).

23 იანვარს ახლადშექმნილი დეპარტამენტების უფროსების ვაკანსიაზე გამოცხადა კონკურსი.

ასევე, გამოცხადდა ვაკანსია თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსის და სპეციალისტის თანამდებობებზე.

12.4. მომართვიანობის სტატისტიკა

იანვრის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 569 განცხადება.

დასაშვებობის გავლის შემდეგ 419 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი – 1

სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი – 204

- რეგიონული სამმართველო – 158
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი – 17
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი – 10
- შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტი – 5
- ანალიტიკური დეპარტამენტი – 10
- თანასწორობის დეპარტამენტი – 14



13. კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ.: 577 048267
ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
თეა ბაციკაძე